საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 578/ს
24/10/2023

578-21-4-202310241551

ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში, შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაციის“ 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში, შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაციის“ 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკოპინგის დასკვნა N33;
2. შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაცია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N33 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაციას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში, აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო